Research

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

ოქტომბერი 2021

- საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 2021 წლის ოქტომბერში 324.3%-ით გაიზარდა, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 71.8%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 313.7%-ით გაიზარდა (2021/2020) და 69.1%-ით შემცირდა (2021/2019), ხოლო საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 331.5%-ით გაიზარდა (2021/2020) და 57.0%-ით შემცირდა (2021/2019).
- 2020 წლის ბოლოდან მოყოლებული, შიდა ვიზიტების რაოდენობამ არა მხოლოდ მიაღწია პრე-პანდემიურ შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს, არამედ მნიშვნელოვნად გადააჭარბა მათ.
- შიდა ვიზიტორების დანახარჯებმა 2021 წლის მეორე კვარტალში 610 მლნ ლარს მიაღწია, რაც 2019 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 70.7%-ით, ხოლო 2020 წლის მაჩვენებელზე 128.1%-ით მეტია.

პანდემიის გავლენა საქართველოს შიდა ტურიზმზე

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროგნოზით[I], მოსალოდნელია, რომ ცალკეული ბაზრებისთვის შიდა ტურიზმი გაცილებით სწრაფად აღდგება, ვიდრე საერთაშორისო ტურიზმი. იმის გათვალისწინებით, რომ COVID-19-მა მნიშვნელოვნად შეცვალა ტურისტების ქცევა და დამოკიდებულება მოგზაურობის მიმართ, საინტერესოა საქართველოს ტურიზმის სექტორის აღდგენის ტრენდისა და შიდა ვიზიტორების ქცევის პოტენციური ცვლილების შეფასება.

2021 წლის პირველ კვარტალში, შიდა ვიზიტების რაოდენობამ 3.7 მლნ-ს მიაღწია, რაც 2020 წლის მაჩვენებელს 18.8%-ით, ხოლო 2019 წლის მაჩვენებელს 12.1%-ით აღემატება. ამავდროულად, 2021 წლის მეორე კვარტალში, შიდა ვიზიტების რაოდენობამ კვლავ განაგრძო ზრდა და 4.2 მლნ-ს მიაღწია, რაც 27%-ით აღემატება ამავე პერიოდის პრე-პანდემიურ მაჩვენებელს (2019), ხოლო 2020 წლის მეორე კვარტალის მაჩვენებელთან შედარებით, ვიზიტთა რაოდენობა გაორმაგებულია.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წლიდან მოყოლებული შიდა ვიზიტორების დანახარჯების სტრუქტურაში ცვალებადობა შეინიშნება. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ 2019 და 2020 წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით, 2020 წლის მეოთხე კვარტლიდან მოყოლებული შიდა ვიზიტორების დანახარჯები მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, რაც ნაწილობრივ შესაძლოა ინფლაციური წნეხით აიხსნას, ვინაიდან დანახარჯების სტრუქტურის უმსხვილეს კატეგორიებს შორისაა დანახარჯები საკვებსა და სასმელზე, შოპინგზე და ტრანსპორტზე, რომელთა ფასებიც პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2021 წლის მეორე კვარტალში შიდა ვიზიტორების დანახარჯებმა 610 მლნ ლარს მიაღწია, რაც 70.7%-ით მეტია 2019 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე, ხოლო 2020 წლის მეორე კვარტლის მაჩვენებელს 128.1%-ით აღემატება.

საბოლოოდ, შიდა ვიტიზორების მზარდი რაოდენობისა და დანახარჯების დადებითი დინამიკის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოსთვის შიდა ტურიზმმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტურიზმის სექტორზე პანდემიის ნეგატიური ეკონომიკური ეფექტის შერბილებისა და ტურიზმის აღდგენის პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგზაურობის მიზნის მიხედვით ვიზიტების განაწილებაშიც შეინიშნება. „მეგობრების/ნათესავების მონახულება“ კვლავ უმსხვილეს მიზნობრივ ჯგუფად რჩება, თუმცა, ამ კატეგორიის წილმა 2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი წლიური კლება განიცადა, რაც შესაძლოა ვირუსის გავრცელების შიშითა და დაწესებული შეზღუდვებით აიხსნას. 2021 წლის მეორე კვარტალში, აღნიშნული კატეგორიის წილი 47%-ს შეადგენდა, რაც 3.4 პროცენტული პუნქტთაა (პპ) ნაკლები 2019 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

2020 წლის მეოთხე კვარტალში, ამავე წლის მესამე კვარტალთან შედარებით, „რეკრეაციის“ წილი მნიშვნელოვნად 12 პპ-ით (15.2%-დან 3.2%-მდე) შემცირდა, რაც ნაწილობრივ სეზონურობითა და მეოთხე კვარტალში დაწესებული შეზღუდვებით აიხსნება. 2021 წელს, აღნიშნული კატეგორიის ნილი მცირედით გაიზარდა და 2021 წლის მეორე კვარტალში 7.0%-ს მიაღწია, რაც 1.5 პპ-ით აღემატება 2020 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს და 1.8 პპ-ით ნაკლებია 2019 წლის მეორე კვარტლის მაჩვენებელზე.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

I https://www.e-unwto.org/doi/epdf/10.18111/9789284422111

სასტუმროს ფასების ინდექსი

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2021 ოქტ/ 2021 სექტ	2021 ოქტ/ 2019 ოქტ	2021 ოქტ/ 2021 სექტ	2021 ოქტ/ 2019 ოქტ	2021 ოქტ/ 2021 სექტ	2021 ოქტ/ 2019 ოქტ
კახეთი	-2.4%	29.8%	-1.7%	26.3%	-3.1%	30.7%
იმერეთი	-4.2%	13.8%	-4.5%	8.0%	-4.0%	19.5%
გურია	-14.5%	-10.1%	-41.9%	1.6%	3.8%	-17.1%
ქვემო ქართლი	-14.6%	28.8%	21.4%	30.3%	-40.0%	-
აჭარა	-6.9%	-8.3%	-13.8%	-13.6%	3.8%	2.3%
რაჭა	0.0%	29.5%		0.0%	0.0%	29.5%
შიდა ქართლი	-10.7%	13.7%	0.0%	25.9%	-20.2%	8.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-1.2%	14.8%	1.7%	-2.1%	-2.9%	24.3%
სამცხე-ჯავახეთი	-12.4%	-3.2%	-18.1%	-5.3%	-7.8%	-1.7%
მცხეთა-მთიანეთი	-6.6%	35.4%	-9.6%	40.6%	-4.4%	33.5%
თბილისი	4.2%	-1.2%	3.8%	-1.8%	6.6%	3.1%
სულ ფასების % ცვლილება	-1.5%	1.4%	-4.2%	-0.8%	2.8%	5.3%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2021 წლის ოქტომბერში, 2021 წლის სექტემბრის ფასებთან შედარებით და 2019 წლის ოქტომბრის ფასებთან შედარებით.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2021 წლის ოქტომბერში, 2021 წლის სექტემბერთან შედარებით, 1.5%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი შემცირდა 4.2%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2.8%-ით გაიზარდა.

2021 წლის ოქტომბერში, 2019 წლის ოქტომბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 1.4%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 0.8%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 5.3%-ით გაიზარდა.

სასტუმროს საშუალო ფასები

2021 წლის ოქტომბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **136 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **246 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა ოქტომბერში **99 ლარი** შეადგინა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ოქტომბერში **436 ლარი** შეადგინა. კახეთში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 615 ლარი შეადგინა, თბილისში - 588 ლარი, აჭარაში - 416 ლარი, ხოლო გურიაში - 403 ლარი.

საბაზისო ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	I 2020	II 2020	III 2020	IV 2020	2020	I 2021	II 2021	III 2021
1	1054.1	1437.5	1800.0	2 223.0	427.2*	310.4*	335.8*	247.5*	1320.9*	187.9*	558.7*	-
2	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1333.1	114.2	150.3	149.6	1749.3	134.7	351.3	815.4
3	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	765.3	82.3	113.6	125.9	1087.0	116.6	305.8	670.4
4	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	427.7	28.8	42.5	42.6	541.7	53.6	246.1	-
5	386.3	463.6	524.7	657.2	124.1	13.5	20.9	22.0	180.5	19.8	37.1	-
6	120.0	109.5	82.3	123.4	7.4	-6.0	1.5	-252.4	-249.5	-0.5*	-2.3*	-

1 მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)

3 ტურისტების რაოდენობა (ათასი)

4 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)

5 ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცი--რე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.